საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/85 " 26 " ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

რ. კუპატაძის რუსთავის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 5 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 2 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 2 მოსამართლის, მათ შორის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის - რომან კუპატაძის განაცხადი. რ. კუპატაძეს აქვს აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი 2018 წლიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. რ. კუპატაძის გამოცდილებისა და მოტივაციის გათვალისწინებით მას აქვს შესაბამისი უნარი გააგრძელოს მუშაობა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დატვირთვის პირობებშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, რომან კუპატაძე გათავისუფლდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი